

საქართველოს სსრ განათლების დამინისტრო

საქართველო  
სსრ  
განათლების  
მინისტრი

თბილისი  
1980

№ 3  
МАРТ  
1980

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР  
**СВОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И  
ИНСТРУКЦИЙ**

თბილისი  
1980

რედაქტორი — გ. ჭურციკიძე  
ტექნიკაქტორი — ა. ბაკურაძე  
კორექტორი — ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 23/VII-80 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-80 წ.;  
ანაწყობის ზომა  $6 \times 9$ ; ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ ; ნაბეჭდი თაბახი 5,5;  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,75;

შეკვეთა № 775

უဂ 13917

ტირაჟი 5.000

ფ ვ ა ს თ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, წუცუბიძის ქ. № 7.  
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
საქართველოს სსრ „დოსაციის“ ცენტრალური კომიტეტის  
პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ შინაგან სამმთა სა-  
მინისტროს კოლეგიის 1979 წლის 26 ნოემბრის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსწავლე-ავტომობილისტთა 1-ლი რესპუბლიკური შეჯიბრების  
შედეგებისა და მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსს კლა-  
სებში ავტოსაქმის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების, მოსწავლე-  
ებში ავტომობილის სამხედრო გამოყენებითი ჩვევების გამომუშავე-  
ბის, მძღოლის პროფესიის შესწავლის, ავტოსპორტისადმი ინტერე-  
სის აღმარის საქმეს და ფიზკულტურული კომპლექსის მშო მე-3  
საფეხურის „ძალა და გამძლეობა“ ნორმების შესრულებას სხვა ღო-  
ნისძიებებთან ერთად დიდად უწყობს ხელს, აგრეთვე, მოსწავლე-  
ავტომობილსტთა შეჯიბრებები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდე-  
ბა.

გამულ, 1978—1979, სასწავლო წელს პირველად ჩატარდა მოს-  
წავლე-ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების (საქალაქო),  
ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრებები, რომლებმაც მასობ-  
რივი ხასიათი მიიღო. მათში ჩაენახ, როგორც ავტოსაქმისა  
სწავლებიანი სკოლების, ასევე ავტოსპორტით განსაკუთრებულად  
დაინტერესებული მოსწავლეები.

მოსწავლე-ავტომობილისტთა 1-ლი რესპუბლიკური შეჯიბრების  
ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის ქალა-  
ქებისა და რაიონებიდან წარმოდგენილ გუნდებიდან გაიმარჯვა და  
მოსწავლე-ავტომობილისტთა რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებაში  
მონაწილეობის მიღების უფლება მოიპოვა ქ. ქ. სოხუმის მე-14,  
ბოუმის მე-20, ცხინვალის მე-9, თბილისის 117-ე, ქუთაისის მე-2,  
რუსთავის მე-11, გორის 1-ლი და ზუგდიდის მე-4 საშუალო ზოგად-  
საგანმანათლებლო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისაგან  
შემდგარმა გუნდებმა.

ორგანიზებულად და მაღალ აქადემიურ დონეზე ჩატარდა მოს-  
წავლე-ავტომობილისტთა 1-ლი რესპუბლიკური დასკვნითი შეჯი-

ბრება, რომლის მონაწილე შვიდი გუნდიდან (ცხინვალი არ მონაწილე და მონაბრები არ მონაბრები) პირველი ადგილი დაიკავა თბილისის 117-ე (მიიღო 9475 საერთო საჯარიმო ქულა), მეორე—ქუთაისის მე-2 (1073,0), მესამე—რუსთავის მე-11 (1076,5), მეოთხე — ბათუმის მე-20 (1090,0), მე-ხუთე — სოხუმის მე-14 (1117,0), მეექვსე — გორის 1-ლი (1187,6), და მეშვიდე — ზუგდიდის მე-4 (1723,8) საშუალო ზოგადსაგანმანა-თლებლო სკოლების გუნდებმა.

მოსწავლე-ავტომობილისტთა შეჯიბრების მრავალჭიდში მცი-რეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ: რუსთავის (მიიღო 99 საჯარიმო ქულა), მეორეზე — ქუთაისის (106), მესამეზე — გორის (130), მეოთხეზე — ბათუმის (150), მეხუთეზე — თბილისის (159), მეექვსეზე — სოხუმის (168), მეშვიდეზე ზუგ-დიდის (203) გუნდები; ავტოსტაფეტაში პირველ ადგილზე — ბა-თუმის (175), მეორეზე — თბილისის (189,5), მესამეზე — ქუთაისის —(208), მეოთხეზე—რუსთავის (215,5), მეხუთეზე—გორის (215,6) გუნდები; მეექვსეზე — სოხუმის (230), მეშვიდეზე — ზუგდიდის (300,8) გუნდები; ჩქაროსნულ მანევრირებაში პირველ ადგილზე -- თბილისის (489), მეორეზე — სოხუმის (679), მესამეზე — გორის (692), მეოთხეზე — ქუთაისის (699), მეხუთეზე — რუსთავის (702), მეექვსეზე — ბათუმის (205), მეშვიდეზე — ზუგდიდის (1070) გუნ-დები; საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსში პირველ ადგილზე — სოხუმის (40), მეორე, მესამე, მეოთხეზე — რუსთავის (60), ქუთაისის (60), ბათუმის (60), მეხუთეზე თბილისის (110), მე-ექვსე-მეშვიდეზე — გორისა (150) და ზუგდიდის (150) გუნდები. !

პირველი, მეორე, მესამე ადგილის მფლობელი გუნდების შემა-დგენლობა, სავტომობილო შეჯიბრების მრავალჭიდში ცალკეულ სახეობაში გამარჯვებული გუნდები და მოსწავლეები საზეიმო ვითა-რებაში დაგილდოებულ იქნენ დიპლომებით, სიგელებითა და ფა-სიანი საჩუქრებით.

მოსწავლე-ავტომობილისტთა რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბ-რებაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის 117-ე საშუალო სკოლის გუნდმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. კიშინიოვში მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-11 საქაშირო შეჯიბრებაში უურნალ „ზა რუ-ლიომ“-ის პრიზზე და უმაღლეს ლიგაში მეცხრე ადგილი დაიკავა. !

მოსწავლე ავტომობილისტთა 1-ლი რესპუბლიკური შეჯიბრების



ჩატარებისათვის წარმატებით მოემზადნენ და ორგანიზებულად ჩატარებული ტარეს ჩოგორც საქალაქო, ასევე ზონალური შეჯიბრებები აფხაზეთის თანამდებობის და აჭრის ასსრ განათლების სამინისტროებში, თბილისის სახალ-ხო განათლების სამმართველომ, სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლ-ქის, ქ.ქ. ქუთაისის, რუსთავის, გორის, სოხუმის, ბათუმის სახალხო განათლების განყოფილებებში და ავტოსაქმისწავლებიანმა სკო-ლებმა.

ამასთან, მოსწავლე-ავტომობილსტთა 1-ლი რესპუბლიკური შე-ჯიბრების ჩატარების პროცესში გამოვლინდა ზოგიერთი ნაკლოვანე-ბანი. ქ. ქ. ტყიბულის, ჭიათურის, ფოთის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის ახმეტის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, გალის, გარდაბ-ნის, გურჯაანის, თერჯოლის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლენტეხის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიკოვსკის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიშვილის, საჩხერის, საგარეჯოს, სამტრედიის, ქედის, ქა-რელის, ყაზბეგის, შუახევის, ცხაკაიას, ხულოს, ხობის, წალკის; წა-ლენგიხის, წულუკიდის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების სა-ხალხო განათლების განყოფილებების მუშაკებმა, ავტოსაქმისსწავ-ლებიანმა სკოლების დირექტორებმა, ავტოსაქმის მასწავლებლებმა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატებმა ჯეროვანი დაინტერესება არ გამოიჩინეს მოსწავლე-ავტომობილისტთა რესპუბ-ლიკური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში და ვერ უზრუნველყვეს ზონალურ ტურში გუნდების მონაწილეობა. მოსწავ-ლე-ავტომობილისტთა დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილე ბევრმა მოს-წავლემ ვერ გამოამჟღავნა მტკიცე ცოდნა-ჩვევები საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსში, ავტოესტაფეტაში, ჩქაროსნულ მან-ევრირებასა (ავტომობილის ფიგურულ ტარებაში) და მცირეკალიბრ ბრიანი შაშხანიდან სროლაში, რის შედეგადაც გუნდებმა საჯარიმო ქულების ღიღი როდენობა მიიღეს. !

მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური ღასკვნითი შეჯიბრების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით კოლეგიამ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

— მიმღინარე, 1979—1980, სასწავლო წელს ჩატარდეს მოსწავ-

ლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრება სამ ეტაპზე:  
ახალი მუნიციპალიტეტი (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. 1-ლი რაიონული (საქალაქო) შეჯიბრება ჩატარდეს 1980 წლის 15 თებერვალიდე, მე-2 ზონალური — 1980 წლის 30—31 მარტს, ხოლო დასკვნითი, რესპუბლიკური — 1980 წლის 9—10 ივნისს.

— მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით.

1. ლომიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განთლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. წიკლაშვილი გ. პ. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი !

4. სარიშვილი ს. კ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე !

5. სუჭაშვილი ქ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი !

6. კერესელიძე ო. ნ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი !

7. ორახელაშვილი ა. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი :

8. მაჭარაშვილი ა. ა. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე !

9. ჭიქია თ. გ. — საქართველოს ავტომოცვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის განყოფილების გამგე

10. კვირიკაშვილი ო. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი

11. გაგუა ნ. ო. — ქ. თბილისის „დოსააფის“ კომიტეტის თავმჯდომარე !

12. წიქარიშვილი ა. გ. — საქართველოს სსრ აგტოსატრანსპორტო სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების



გის სამმართველოს უფროსი ინჟინერი

13. ეპიტაზვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

14. სავიცი ვ. ა. — საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური კლუბის უფროსი

15. ტონია ს. ქ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, სორგანიზაციონ კომიტეტის მდიგანი.

— დამტკიცდეს მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების დებულება (თან ერთვის).

— დაევალოს მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩამტარებელ რესპუბლიკურ სორგანიზაციონ კომიტეტს:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს მოსწავლე-ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმღინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალურ კომიტეტს;

ბ) დროულად ჩაატაროს მოსწავლე-ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩასატარებლად მოსამზღებელი მუშაობა და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს სახელმძღვანელო და მეთოდური მასალებით;

გ) განახორციელოს მოსწავლე-ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრებების ჩატარებაზე ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

— აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ! თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე;

ბ) იმ ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც დებულების შესაბამისად შექმნილია ზონალური სორგანიზაციონ კომიტეტი, 1980 წლის 20 იანვრამდე წარმოადგინონ ცნობა მისი შემადგენლობის შესახებ.



— აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუნიტარი რი თლქის, ქალაქებისა და რაიონების „დოსააფის“ რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა!

ა) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კინტროლი მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებისათვის;

ბ) ღამისარება აღმოუჩინონ მოსწავლე-ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრებების ჩატარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებებისათვის საჭირო პოლიგონების შერჩევისა და მოწყობის საჭეში;

გ) გამოყონ მოსწავლე-ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) განიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებებისათვის საჭირო პოლიგონების და ზონალური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო ავტომანქანები;

დ) შექმნან მსაჯთა კოლეგია სათანალო სპეციალისტებისაგან მოსწავლე-ავტომობილისტთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდების გამოსავლინებლად 7 წევრის შემადგენლობით.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ.გ. ჩიტაძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1980 წლისათვის გაითვალისწინოს მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ი. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1980 წლისათვის გამოუყოს მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის საწერი ქაღალდი.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებაში (ამხ. ა. ორახელაშვილი):

ა) უშუალო მონაშილეობა მიიღოს მოსწავლე-ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებაში;

ბ) უზრუნველყოს მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური, ზონალური და რაიონული (საქალაქო) შეჯიბრებებში მონაცემების გუნდების წევრთა მომზადება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში;

გ) უზრუნველყოს მოსწავლე-ავტომობილისტთა XII საკაშირო შეჯიბრებისათვის შერჩეული გუნდის წევრთა წინასწარი ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

— გამოთ „სახალხო განათლებისა“ და უურნალ „სკოლა და ცხოვრება“-ს რედაქციებმა (ამს. ამს. ნ. ა. შველიძე, და ა. დ. გოგელია) დააწესონ თითო პრიზი მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის; პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრების მიმღინარეობის მდგომარეობის შესახებ.

— ეთხოვოს საქართველოს ალკაციენტრალურ კომიტეტს, დააწესოს 3 პრიზი მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის.

— ეთხოვოს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს, დააწესოს 3 პრიზი მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის!

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამსართველომ (ამს. კ. სუჭაველი) სისტემატიური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმღინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
რი:	„დოსალფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე	შინაგან საქმეთა მინისტრი

ო. დ. ეთელაბე

3. ნ. ჯანელავა

გ. ი. გვეტაძე

მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური  
 შეჯიბრების ჩატარების

დ ე ბ უ ლ ი ყ ბ ა

მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკურ შეჯიბრების ატა-  
 რებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს  
 სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ  
 შინაგან საქმეთა სამინისტრო ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური  
 სადგურის ბაზაზე, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინის-  
 ტროს, საქართველოს სსრ ავტომობილისტთა ნებაყოფლობითი სა-  
 ზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ „დო-  
 სააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბის მონაწილეობით.

1. შეჯიბრების მიზანი

მოსწავლეთა შორის ავტომობილის შესწავლისა და საავტომო-  
 ბილო სპორტისადმი ინტერესის აღზრდა, სამხედრო გამოყენებითი  
 ჩვევების გამომუშავება, ფიტკულტურული კომპლექსის მშო მე-3  
 საფეხურის „ძალა და გამხედაობა“ ნორმების შესრულებისადმი ხე-  
 ლის შეწყობა.

II. შეჯიბრების ორგანიზაცია და ჩატარება

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ განათ-  
 ლების სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალურის  
 კომიტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქარ-  
 თველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქარ-  
 თველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბი.

მოსწავლე-ავტომობილისტთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრება  
 ტარდება სამ ეტაპად — რაიონული (საქალაქო), ზონალური და  
 რესპუბლიკური. შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები!

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი განისაზ-  
 ღვრება 5 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისა-  
 ზღვრება 11 წევრით. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.



ზონალური შეჯიბრების ჩასატრებლად რესპუბლიკა დაყულტურული მუზეუმებისათვის არა რვა ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;

2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხა-შურისა და ქარელის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, ახალქალაქის, ბოლნისის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

5. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაია-კოვესის, ონის, ორგონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ცაგერის, თერჯოლის, ჭიათურის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

6. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, ახმეტის, გარდაბნის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, წალკისა და წითელწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. ქ. გორი — ქ. გორის, ახალციხის, ასპინძის, აღიგენის, ბორჯომის, გორის, ღუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

8. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის გევეჟიორის, ვანის, სამტრედიის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის.

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1980 წლის 15 თებერვალიდან. რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი იმ გამარჯვებული გუნდის მოსწავლე-ავტომობილისტთა სიას, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1980 წლის 10 მარტამდე ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური შეჯიბრება ტარდება 1980 წლის 30—31 მარტს ერთ-დროულად ყველა გუნდისათვის.

ზონალურ ტურში გამარჯვებული გუნდის სიას, რომელმაც მოსწავლე-ავტომობილისტთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა, ზონის საორგანიზაციო კომიტეტი აგზავნის რესპუბლიკურ საორ-

განიზაციო კომიტეტში 1980 წლის 10 მაისამდე.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1980 წლის 9—10 ივნისს ქ. თბილისში ერთდროულად 8 გამარჯვებული გუნდისათვის.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, იგზავნება მოსწავლე-ავტომობილსტთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 1-ლ, მე-2 და მე-3 ადგილებზე გა-მოსული გუნდების წევრები (მოსწავლე-ავტომობილისტები) ჭილ-დოვდებიან I, II და III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრი-ზებით.

გუნდის შეჯიბრების ადგილზე გასამგზავრებელი და უკან დასაბ-რუნებელი ხარჯები ეკისრებათ საქართველოს სსრ განათლების სამი-ნისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განთლების სამინისტროებს; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

შეჯიბრების მოწყობის, მოსწავლე-ავტომობილისტთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები ეკისრებათ საქართვე-ლოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებებს.

### III. შეხვერდის პროგრამა.

მოსწავლეები ეჯიბრებიან საავტომობილო მრავალჭიდში, რო-მელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. საგზაო მოძრაობის წესების მცირდნეთა კონკურსი;
2. ავტოესტაფეტა;
3. ჩქაროსნული მანევრირება (ავტომობილის ფიგურული ტა-რება);
4. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა (პირობები თან ერ-თვის).

### IV. გუნდების შემადგენლობა და უზრუნველყოფა

მოსწავლე-ავტომობილისტთა XII საკავშირო შეჯიბრებაში მო-ნაწილეობენ მე-2 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამრჯვებული გუნ-

დი, რომელმაც დაიყავა პირველი ადგილი, ან რესპუბლიკური შეჯიშობულის VIII — X კლასების მოსწავლეებისაგან და ეფულებიან ავტოსაქმეს სკოლებში, წრეებში, სექციებსა და ნორჩ ავტომობილისტთა კლუბებში. როგორც გამონაქლისი, რესპუბლიკას, სადაც შეჯიბრებები არ ჩატარებულა, შეუძლია გამოიყვანოს ნაქრები გუნდი. ასეთი გუნდის შეჯიბრებაზე დაშვების საბოლოო გადაწყვეტილების უფლება საქავშირო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტს რჩება.

მონაწილე გუნდების რაოდენობას განსზღვრავენ ორგანიზატორები. გუნდი შედგება 8 კაცისაგან (ხუთი მონაწილე, მათ რიცხვში ერთი ქალიშვილი, სათადარიგო, მწვრთნელი და ხელმძღვანელი).

გუნდი, რომელშიაც არ მონაწილეობს ქალიშვილი, შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

შეჯიბრების აღგილზე გამგზავრებისა და უქან დაბრუნების ხარჯები ეკისრება ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომლისგანაც იგზავნება გუნდი.

#### V. შეჯიბრების ჩატარების ადგილი და დრო,

მონაწილეთა მანქანები.

ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრებში და რესპუბლიკური — ქ. თბილისში.

სკოლებში შეჯიბრებისათვის მზადება ტარდება შტატით განკუცნილ მანქანებზე.

რაიონულ (ზონალურ) და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ავტომანქანებით „მოსკვიჩ“ — 412 უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და დოსააფის ადგილობრივი ორგანიზაციები.

შეჯიბრებაზე გუნდები ცხადდებიან ერთი დღით ადრე და რჩებიან შეჯიბრების დამთავრებამდე.

ზონალური ტურის გახსნა, დახურვა და გამარჯვებული გუნდის მოსწავლეთა დაჯილდოება ტარდება საზემო ვითარებაში.

#### VI. შედეგების განსაზღვრა

პირად ჩათვლაში გამარჯვებულები განისაზღვრება საჯარიმო ქულების მინიმალური ჯამით, რომელიც ერიცხებათ ავტომანქანის ფიგურულ ტარებაში, სროლაში და მოძრაობის წესების ცოდნის გამო-



სარკვევად დასმულ საქონკურსო კითხვებზე გაცემული პასუხისმგრამება  
ხელვით.

ერთნაირი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპორტ  
სწენს, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრ-  
რირებაში. თუ მაჩვენებლები ამის შემდეგაც იქნება თანაბარი —  
შედევლობაში მიიღება საუკეთესო შედეგი სროლაში. თუ ამის შემ-  
დეგაც მაჩვენებლები თანაბარი იქნება, მაშინ მსაჭთა კოლეგია და-  
ნიშნავს დამატებით საგარენიშოებს.

მრავალჭიდლის ცალკეულ სახეებში გამარჯვებული გუნდი გა-  
ნისაზღვრება საჯარიმ ქულების მინიმალური ჯამით, რომელიც  
ერთიცხებათ გუნდის ოთხ მონაწილეს (მათ შორის გოგონასაც). ჩათ-  
ვლაში არ შედის სპორტსმენი, რომელიც მიიღებს საჯარიმო ქულე-  
ბის მაქსიმალურ რაოდენობას. მრავალჭიდში გამარჯვებული გუნ-  
დი განისაზღვრება საჯარიმ ქულების მინიმალური რაოდენობით,  
რომელიც დაერიცხება გუნდს ჩქაროსნულ მანევრირებაზე, სროლა-  
ზე, საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსზე და ავტო-  
ესტაცეტაზე.

ერთნაირი შედეგების დროს უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომ-  
ელსაც უკეთესი მაჩვენებელი აქვს ჩქაროსნულ მანევრირებაში. თუ-  
კი ამ შემთხვევაშიც მაჩვენებლები იქნება თანაბარი, მაშინ შედ-  
ველობაში მიიღება შედეგები სროლაში. თუ შედეგები მაშინაც  
ერთნაირი აღმოჩნდება, ასეთი გუნდებიდან თითო მონაწილე, რო-  
მელთაც აქვთ ერთნაირი მაჩვენებელი, მსაჭთა კოლეგიის მითითე-  
ბით შეასრულებს დამატებით საგარენიშოებს.

## VII. გამარჯვებულთა დაჭილდოება

ზონაში გამარჯვებულ გუნდს და მის წევრებს აჯილდოებს ზო-  
ნის საორგანიზაციო კომიტეტი გარდამავალი პრიზით, სამასტოვრო  
დიპლომებითა და თასით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც  
უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრირებაში, ჯილდოვ-  
დება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინის-  
ტროს თასით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ავტოესტაცე-

ტაში — ჯილდოვდბა საქართველოს ილკ ცენტრალური კომიტეტის თასით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შეღებს საგზაო მოძრავ აბის წესების მცოდნეთა კონკურსზე, ჯილდოვდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პრიზით.

შოსტავლები, რომლებიც დაიკავებენ სამ საპრიზო აღგილს პირად ჩათვლაში, ცალკე გოგონები და ჭაბუკები, ჯილდოვდებიან პრიზებითა და დიპლომებით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ყველა მონაწილეს მიეცემა სამახსოვრო ნიშნები.

### VIII. განაცხადების მიცემა

წინასწარი განაცხადი მოსტავლე-ავტომობილისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად იგზავნება რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებელ საორგანიზაციო კომიტეტში ერთი თვით აღრე შეჯიბრების დაწყებამდე შემდეგი ფორმის მიხედვით:

№ რიგზე	გვარი, სახელი და მ.მის სახელი	თანრიგი ავტოსპორტში	დაბად. წელი და თვე	სკოლის დასახელება და კლასი	შენიშვნა
1.					
2.					

საბოლოო განაცხადი გუნდზე მიეცემა მსაჭთა კოლეგიას რწმუნებათა შემოწმების დროს. განაცხადები დამტკიცებული უნდა იყოს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების მიერ! მწვრთნელი-მასტავლებელი ვალდებულია ყოველ მონაწილეზე მსაჭთა კოლეგიას წარმოუდგინოს ცნობა სკოლიდან, რომელი სკოლისა და კლასის მოსტავლეა, აგრეთვე მოწმობა მძღოლის პროგრამის გავლის შესახებ კლუბიდან ან ნორჩ ავტომობილისტთა წრეებიდან, ექიმის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ცნობა „მშთ ბორმების ჩატარების შესახებ.

რაიმე მიზეზის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობაზე გუნდის უ-

რის შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს ამის შესაყიდვის  
ხებ ღოსააფის საქართველოს სსრ ცენტრალურ კომიტეტს და საქარ-  
თველოს სსრ განათლების სამინისტროს არა უგვიანეს 12 დღისა შე-  
ჯიბრების ღაწုებამდე.

დანართი :

## I. ესტაცეტა

ავტოესტაცეტა შედგება ხუთი სავარჩიშოსაგან:

პირველი. მონაწილე № 1 იღებს სტარტს 15—20 მეტრის  
დაშორებიდან ავტომობილისაგან, რომელიც დგას სწორკუთხედში  
„ა“ (იხილეთ სქემა). მიირჩენს რა მანქანასთან, ჩართავს ძრავას და  
წაიყვანს სწორკუთხედისაკენ — „ბ“. გზად ასრულებს „კლაკნილ“  
სვლას, ეგრეთწოდებულ „კლაკნილას“. იგი აღინიშნება ოთხი დგა-  
რით დეკორატიული აღმებით ზემოდან. შემზღვეულებს შორის  
მანძილი 6,0 მეტრია.

მეორე. გააჩერებს რა მანქანას სწორკუთხედში „გ“, მონაწი-  
ლე № 1 გამოდის კბინიდან. როგორც კი დაიხურება კარი, მონაწი-  
ლე № 2 ასწევს ყუთს, რომლის უჯრედებშიც იმყოფება ექვსი სფერო  
(სფეროები) — ბურთები 110 მმ ღიამეტრი, ამონაჭერი დაფაში —  
30 მმ) და მოათავსებს კაპოტზე, შემდეგ ჩართავს ძრავას და მიიყვანს  
მანქანას სწორკუთხედში „ვ“, ისე, რომ არ ჩამოვარდეს სფერო  
ბურთი.

მესამე. მონაწილე № 2 გააჩერებს მანქანას სწორკუთხედში  
„ვ“. აქ მას ელოდება მონაწილე № 3. იგი წაიყვანს ავტომობილს  
სწორკუთხედისაკენ „გ“. გზად ასრულებს სავარჩიშო „წრე“-ს. ეს  
სავარჩიშო აღინიშნება ოთხი წყვილი იმავე სახეობის შემზღვეულით,  
როგორც გამოიყენება „კლაკნილას“ შესასრულებლად. შიგ-  
ნითა შემზღვეულები დაყენებულია წრეხაზის ცენტრიდან 3,8  
მეტრზე, გარეთა, 6,2 მეტრზე.

მეოთხე. როგორც კი მანქანა გაჩერდა სწორკუთხედში „გ“  
მონაწილე № 4 ჯდება საქესთან და მიჰყავს ავტომანქანა სწორკუთ-  
ხედში „დ“. გზად მან მარჯვენა საბურავებით უნდა გაიაროს 6,5 მ  
სიგრძის და 20 სმ სიგანის ფიცარი, ხოლო შემდეგ იგივე ფიცარი  
უნდა გაიაროს მარცხენა თვლებით.

მეცნიერება 15 მეტრზე; ბოლო მონაწილე (№ 5) იმყოფება სწორკუთხედში; სწორკუთხედიდან „დ“. როცა მანქანა გაჩერდება სწორკუთხედში; მონაწილე № 5 მოირბენს მასთან, ჩართავს ძრავას და მიემართება სწორკუთხედისაკენ „ფინიში“. 20 მეტრის მანძილზე სწორკუთხედიდან „დ“ ბამპერის სიმაღლეზე კრონშტეინებზე იმყოფება ოვალური ფორმის ხის თასმასა, რომელიც ჩამოგდებულ უნდა იქნას ერთჯერადი დამუხსრუჭებით, ისე რომ არ წაიქცენ კედლები (დგარები); რომლებიც დგანან ხის თასმასს უკან 30 სანტიმეტრზე. (ინტერვალი კეტლებს შორის 30 სანტიმეტრია). როგორც კი შესრულდება დამუხსრუჭება, მსაჯი აფიქსირებს ესტაფეტის დამთავრების დროს.

ესტრეფეტის პირობების დაჩღვევისათვის ერიცხებათ საჭარიმო  
ქულები:

- ა) ყოველ წარცეულ შემზღვევაზე — 5 ქულა;  
 ბ) ყოველ წარცეულ კეგლიზე ფინიშთან — 10 ქულა;  
 (თუ თასმასა არაა ჩამოგდებული, ან ჩამოგდებულ იქნა ისე, რომ გა-  
 დააფრინდა კეგლებს — 30 ქულა)  
 გ) ყუთიდან ამოვარდნილ ყოველ ჰაერბურთზე — 5 ქულა; 1  
 დ) თუ კი (6, 5 მ) ფიცრიდან მის სრულ გავლამდე ჩამოვა თუნ-  
 დაკ; ერთი თვალი — 5 ქულა; 1

ე) თუ ავტომობილის თვლები სავარჯიშოების შესრულების შემდეგ აღმოჩნდებან სწორკუთხედის შემომსაზღვრელ ხაზზე ან ხაზს გარეთ — 5 ქულა (მანევრირება იყრძალულია) სწორკუთხედის ზორმებია  $3,2 \times 1,7$  მ, სიგანე ხაზისა 10 სმ; ।

ესტაფეტის შესრულებაზე დახარჯული დრო გადაიყვანება საკარიმით ქულებში იმ ანგარიშით, რომ ერთი წამი ჩაითვალოს ერთ ქულად. ადგილები განისაზღვრება გუნდზე დარიცხული ქულების უმცირესი რაოდენობით, ხოლო რომელმა სპორტსმენმა რომელი საკარჯიშო უნდა შეასრულოს — განისაზღვრება მსაჭთა კოლეგიის მიერ ჩატარებული კენჭისყრით.

## II. ჩქაროსნული მანევრირება

ჩქაროსნულ მანევრირებაში ჩართულია ექვსი ფიგურა ქვემოთ ჩამოთვლილი რვიდან. მათი განლაგების თანმიმდევრობა და ავტო-

შობილის მოძრაობის მიმართულება განისაზღვრება მსაჭთა კოლე-  
გით და გამოცხადება მონაწილეებს შეჯიბრების წინ ვარჯიშის  
დროს. მსაჭთა კოლეგიას უფლება ეძლევა დადგინოს საკონტროლო  
დრო „ფიგურების“ შესასრულებლად. ფიგურებს შორის მანძილი  
არა ნაკლებ 10 მეტრია. შემზღვდველებს შორის მანძილი — 1 მეტრი!

ავტომობილი იმყოფება სასტარტო ხაზზე (ხაზის სიგრძე 3  
მეტრია, სიგანე 150 მმ). სპორტსმენი დგას ავტომობილთან, მსაჭის  
წინაშე ჯდება მანქანაში, რთავს ძრავას და გამოდის ტრასაზე.

სტარტებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს მსაჭთა კოლეგია  
იმ ანგარიშით, რომ ტრასაზე ერთდროულად ორზე მეტი სპორტსმე-  
ნი არ აღმოჩნდეს და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

ყველა ფიგურებს შორის და ფიგურებს შიგნითაც დასაშვებია  
ნებისმიერი მანევრირება. ავტომობილის კარის გაღება ნებადართუ-  
ლია მხოლოდ უკუსვლით მოძრაობის დროს.

ყოველმა მონაწილემ უნდა შეასრულოს ყველა სავარჯიშო (გა-  
იაროს ყველა ფიგურა) დადგენილი თანმიმდევრობით. სპორტსმენი,  
რომელიც დაარღვევს თანმიმდევრობას, იღებს ჯარიმას 30 ქულის  
ოდენობით.

შემზღვდველების წაქცევაზე და სავარჯიშოების შესრულების  
წესის დარღვევაზე მონაწილეს ერიცხება საჯარიმო ქულები.

1. „წრე“. ორი კონცენტრირებული წრეხაზი, გარეთა 6 მეტრი  
და შიგნითა — 3 მეტრი რაღიუსით. კარის სიგანე 3 მეტრი. მონა-  
წილე წინა სვლით შედის წრის სავალ ნაწილზე, საათის ისრის მოძ-  
რაობის მიმართულებით შემოსწერს წრეს და გამოდის ისე, რომ არ  
წაიქცეს შემზღვდველები.

საჯარიმო ქულები: ყოველ წაქცეულ შემზღვდველზე — 5 ქუ-  
ლა; კარების შემზღვდველზე — 10 ქულა. |

თუ წაქცეულია 6 შემზღვდველი, სავარჯიშო შეუსრულებლად  
ითვლება, საგრჯიშოს შეუსრულებლობაზე ირიცხება 40 ქულა.

2. „ბოქსი“. სწორკუთხედი (ბოქსი) სიგანით 195 სმ და სიგრძით  
435 სმ განლაგებულია სწორი კუთხით მარჯვნიდან, როცა შევდივართ  
მოედანზე, რომლის სიგრძე 840 სმ-ია და სიგანე — 740 სმ. მონაწი-  
ლე შევა რა პირდაპირი სვლით მოედანზე, უკუსვლით უნდა დააყე-  
ნოს ავტომობილი ბოქსში ისე, რომ არ წააქციოს შემზღვდველები!

საჯარიმო ქულები: ყოველი შემღუდველის წაქცევაზე 15 ქულა, მოედანზე ან „ბოქსში“ არასრულ შესვლაზე — 15 ქულა.

6 შემზღუდველის წაქცევა ითვლება სავარჯიშოს შეუსრულებლობად. სავარჯიშოს შეუსრულებლობა ჯარიმდება 40 ქულით.

3. „კლაკნილა“. ხუთი შემზღუდველი დაყენებულია სწორ ხაზზე 575 სმ-ის ინტერვალით და ქმნის ოთხ გასასვლელს. მონაწილეებ თანა-მიმდევრულად უნდა გაიაროს ყველა გასასვლელი ისე, რომ არ წაქციოს შემზღუდველები.

საჯარიმო ქულები: ყოველ წაქცეულ შემზღუდველზე — 5 ქულა, ერთი გასასვლელის გამოტოვება — 15 ქულა, ერთზე მეტი გასასვლელის გამოტოვება ითვლება სავარჯიშოს შეუსრულებლობად. სავარჯიშოს შეუსრულებლობა — 40 ქულა.

4. „ესტაფეტა“. ორი დგარი ერმანეთისაგან 3000—4000 სმ-ითაა დაცილებული. ყოველ დგარზე პერპენდიკულარულად განლაგებულია 20 სმ სიგრძის კრონშტეინი, რომელიც იმყოფება მოედნის ზედაპირიდნ ავტომობილის კარის სარკმლის შუა ნაწილის სიმაღლეზე. „ესტაფეტას“ წარმოადგენს 20 სმ დიამეტრის 5—10 მმ-ის სისქის ხისტი რგოლი. მონაწილეებ ავტომობილიდან გამოუსვლელად უნდა ჩამოხსნას ეს რგოლი ერთი დგარიდან და ჩამოაცვას იგივე რგოლი მეორე დგარის კრონშტეინს.

თუკი რგოლი ვერ იქნა ჩამოხსნილი ან ვერ იქნა ჩამოცმული კრონშტეინზე, ანდა წაქცეულია დგარი — მონაწილეებს ერიცხებათ 15 საჯარიმო ქულა.

5. თაღიანი „ჭიშკარი“. ორი კარი სიგანით 175 სმ დადგმულია ერთმანეთისაგან 240 სმ-ის მანძილზე. კარებს აღნიშნავენ პორიზონტალური კონსოლური შემზღუდველებით, რომლებიც იმყოფება ავტომობილის მაქსიმალურ გაბარიტულ სიგანეზე. გასასვლელის ზომების კონტროლისათვის კართა სიგანე აღნიშნება მოედნის ზედაპირზე სათანადო ნიშნებით.

მონაწილემ პირდაპირი სვლით უნდა გაიაროს „ჭიშკარი“, ისე რომ არ ჩამოაგდოს შემზღუდველები.

საჯარიმო ქულები: ერთი შემზღუდველის წაქცევაზე — 15 ქულა; ორი შემზღუდველის წაქცევისას სავარჯიშო შეუსრულებლად ჩაითვლება.

სავარჯიშოს შეუსრულებლობაზე — ჯარიმა 40 ქულა.

6. „ნაკვალევი“. ორი წყვილი ხის ცილინდრული ნაჭერი ავტომობილს ერთი მხარის თვლებისათვის ქმნის გასასვლელს, რომელიც ეტოლება საბურავის პროფილის სიგანეს დამატებული 150 მმ და დაიდგმება ერთმანეთისაგან 410 სმ მანძილზე. მონაწილემ წინა სვლით უნდა გაატაროს ავტომობილის წინა და უკანა მარჯვენა თვლები ისე, რომ არ წააქციოს ისინი. ცილინდრის ყოველი წამოდება ჯარიმდება 10 ქულით.

7. „შესვლა საღომზე“. სწორკუთხა მოედანი სიგრძით 630 სმ და სიგანით 185 მმ შემოსაზღვრულია სამი მხრიდან. მეოთხე ლია გრძელი მხარე აღნიშნულია ზედაპირული ხაზით. მონაწილემ უნდა შეიყვანოს და დაყენოს ავტომობილი მოედანზე ისე, რომ არ შეეხოს შემზღვდელებს-და ამ ავტომობილის გეგმილი არ ეხებოდეს მოედნის ღია მხარის ზედაპირულ ხაზს.

შემზღვდელების წამოდებაზე — 5 ქულა. თუ ავტომობილის რაიმე დეტალი სცდება მოედნის გაბარიტს — 15 ქულა. სავარჯიშო შეუსრულებლად ითვლება, თუ წაიქცა სამი შემზღვდველი — 40 ქულა.

8. ხაზი „სდექ“. მოედნის ზედაპირზე მოძრაობის მიმართულების პერპენდიკულარულად გავლებულია საღებავით 150 მმ-ის სისქის და 3 მეტრის სიგრძის ხაზი. მონაწილემ უნდა გააჩეროს ავტომობილი ისე, რომ პირველივე ცდით ორივე წინა თვლებმა იქნიონ კონტაქტი ხაზთან. ორივე თვალის ხაზთან კონტაქტის უქონლობისათვის ირიცხება ჯარიმა — 10 ქულა.

მონაწილის ჩასათვლელი შედეგი განისაზღვრება საჯარიმო ქულების ჯამით, რომლებიც დაერიცხებათ სავარჯიშოთა შესრულებისას დაშვებულ შეცდომებზე პლუს დრო (წამი — ერთი ქულა). თუ სპორტული მეტად მოვალეობა არ გამოიყენოს საწვრთხოების მიზანით, მაგრამ მანევრირებაზე. ასეთ შემთხვევაში გუნდს ერიცხება 150 საჯარიმო ქულა.

### III. როლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან

იარაღი — სამამულო წარმოების მცირეკალიბრიანი შაშხანა (უზრუნველყოფს ორგანიზატორი). სამიზნე № 7 ან № 7-ა. დისტან-

ცია 50მეტრი. ვაზნების რაოდენობა — 8 (3 საცდელი და 5 ჩასაჟუვლელი). ღრო საცდელ სროლაზე — 2 წუთი, ჩასათვლელზე — 5 წუთი.

მდგომრეობა: წოლითი, ხელიდან, ღვედის გამოყენებით.

შედეგების განსაზღვრა: სპორტსმენი, რომელიც აგროვებს 50-ზე ნაკლებ ქულას, ერიცხება ჯარიმა, რომელიც ტოლია 50-ისა და შეგროვებულ ქულებს შორის სხვაობისა.

კორექტირება ნებადართულია მხოლოდ საცდელი სროლის დროს.

#### IV. მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი

მონაშილე იდებს 5 შეკითხვას წერილობითი სახით. ყოველ არა-სწორ პასუხზე მას ერიცხება 10 საჭარიმო ქულა. პასუხებისათვის დროს განსზღვრავს მსაჭთა კოლეგია.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტიკის  
1979 წლის 12 დეკემბრის

### გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის  
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის დამტკიცების  
შესახებ

### კ ო ლ ე გ ი ა მ გ ა ღ ა წ ყ ვ ი ტ ა

იმასათან დაკავშირებით, რომ კოლეგიამ (ოქმი №11 1979 წ!  
23/VI) დააკმაყოფილა ამს. თ.გ. გეგელიას თხოვნა ნორჩ მათემტიკ-  
კოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის  
თავმჯდომარეობიდან მისი განთავისუფლების შესახებ, ნორჩ მათე-  
მატიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზა-  
ციონ კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცდეს თბილისის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გან-  
ყოფილების უფროსის მოადგილე მათემატიკის მეცნიერებათა დოქ-  
ტორი ზაურ აბბარისის ძე ჭანტურია.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი

ო. პირელაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიუმის  
1979 წლის 13 დეკემბრის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყო-  
ველთაო სავალდებულო ცწავლების კანონის განხორციელე-  
ბის მდგომარეობის შესახებ:

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველ-  
თაო სავალდებულო ცწავლების კანონის განხორციელების მდგო-  
მარეობის შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერ-  
თვის) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

1. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა  
, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო  
სავალდებულო ცწავლების კანონის განხორციელების მდგომარეო-  
ბის შესახებ „დაეგზაგნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის  
ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბ-  
ლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფი-  
ლებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამ-  
ხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალ-  
ხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის სახალხო  
განათლების სამმართველომ:

— აღნიშნული ცნობა განიხილონ სამინისტროების კოლეგიე-  
ბზე, სახალხო განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების  
პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და დასახონ კონკრეტული,  
ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— საფუძვლიანად შეისწავლონ საყოველთაო სავალდებულო  
ცწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და საკითხი გან-  
სახილველად შეიტანონ პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტე-  
ბის ბიუროზე, ან სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რიონული აღმასტ-  
კომების სხდომებზე და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შე-  
სახებ მოახსენონ განთლების სამინისტროს 1980 წლის 1 ივნისამდე;

— გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენდღის მიერ სტატისტიკური მასალები და მკაცრი სასჯელი დააღონ სკოლის დირექტორებს, რომლებსაც არაზუსტი ცნობების მიწოდებით შეცდომაში შეყავთ ხელმძღვანელი ორგანოები;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო-აღმზრდებრიბითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეს, განამტკიცონ სასწავლო-მატერიალური ბაზა, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებისა და ქლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე, აგრეთვე, მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა მეორეწლიანობის აღმოსაფეხვრელად;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყვილებას, შექმნან იქ სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობები, ამ საქმეში ფართოდ ჩააბაძ საზოგადოებრიობა, მშობლები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

— სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად იზრუნონ ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ მოქმედი ნორმების შესაბამის სად მათი საჭირო და მაღალხარისხოვანი პროდუქტებით მომარავება;

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე) უზრუნველყოს განათლების აღილობრივი ორგანიზების მუშაობათვის სტატისტიკური ფორმების შექსების საკითხებზე ზონალური თათბირების ჩატარება.

4. სახალხო განათლების დაწესებულებათა საქმიანობაზე არაკვალიფიციური ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც რაინის სკოლებში საყოველთაო სწავლების განხორციელებასა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოიწვია სერიოზული ხასიათის ნაყოფები, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვარლამ ბელქინია იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას; მაგრამ ავალმყოფობის გამო საკითხის საბოლოოდ განხილვა გადაიდოს მის გამოჯანმრთელებამდე.

5. საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ქ. ჭი-



ათურის, ონის, თეთრიწყაროს, ხაშურის, ჭითელწყაროს რაიონული მუზეუმების  
განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. გ. ცხდიაშვილს,  
გ. დგვარელს, ლ. ჭინჭიხაძეს, შ. ლაბაძეს, მ. ბილიაშვილს გამოეცხა-  
დოთ საყვედლები.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ქ. სუჯაშვილი) საჭირო კონ-  
ტროლი განახორციელოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

მინისტრი

ო. გიცელაძე



რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყო-  
ველთაო საგალდებულო განათლების კანონის განხორ-  
ცილების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიმდინარე წლის  
ოქტომბერში შეისწავლა საყოველთაო საგალდებულო სწავლების  
კანონის განხორციელების მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ავტონო-  
მიურ ოლქში, ქ. გორისა და ჭიათურაში, ზესტაფონის, თეთრიწყაროს,  
კასპის, ონის, ხაშურის, წალენჯიხის, წითელწყაროსა და ჩხოროწყუს  
რაიონებში.

საკითხის ადგილზე შესწავლითა და სტატისტიკური მასალების  
განალიზების შედეგად გამოირკვა, რომ სახალხო განათლების ორგა-  
ნოების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო საგა-  
ლდებულო განათლების განხორციელების საქმეში.

1979 წლის მონაცემებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების  
8 კლასი დამთავრა 94,6 ათასმა მოსწავლემ, მათ შორის დღის სკო-  
ლები — 89813, საღამოსა და დაუსწრებელი — 4,8 ათასმა მოსწავ-  
ლემ, რვაკლასდამთავრებულთა 98% ჩამულია საშუალო განათ-  
ლების სხვადასხვა ფორმაში. მათგან დღის ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლების IX კლასში აგრძელებს სწავლას რვაკლასდამთავრებულ-  
თა 78,5%, პროტექტიურ სასწავლებლებში — 15,5%, დანარჩენი  
4% მოღის საღამოს სკოლებსა და სპეციალურ საშუალო სასწავლებ-  
ლებზე.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა 8 კლასის  
უროვულად დამთავრების მაჩვენებელი, რაც მიმდინარე წელს 94%  
შეადგენს (83,5% 1978 წ.). საშუალო განათლება მიიღო 86,8 ათასმა  
მოსწავლემ (მათგან 72,0 ათასმა — დღის სკოლებში, 14,6 ათასმა —  
საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლებში). საგრძნობლად  
განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა.

რესპუბლიკაში არსებული სასკოლო ქსელი, ძირითადად, უზრუ-  
ნველყოფს საყოველთაო საგალდებულო საშუალო განათლების გან-  
ხორციელებას. გასულ სასწავლო წელთან შედარებით 19 ერთეულით  
შემცირდა დაწყებითი სკოლების რაოდენობა, რვაწლიანების — 8  
ერთეულით, საშუალო სკოლების ქსელი კი გაიზარდა 4 ერთეულით.  
26



ამრიგად, საშუალო სკოლებზე მოღის სკოლების საერთო რაოდნებით შედგენ ნობის 52,2%.

დღესათვის რესპუბლიკაში 3697 დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა (1048 დაწყებითი — 17232 მოსწავლით, 959 რვაწლიანი — 103283 მოსწავლით, 1684 საშუალო — 761880 მოსწავლით), მათ შორის 64 — სკოლა-ინტერნატი, 19 სპეცსკოლა-ინტერნატი და 2 სანატორიული -სატყეო სკოლა.

1979 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 944,3 ათასი მოსწავლე; აქედან 882395 — დღის სკოლებში, 61,9 ათასი საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, 2,6 ათასი სპეცსკოლებში.

ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიური დავალება შესრულებულია 100,4%.

საყოველთაო-საგალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესლის გაფართოებამ. დღესათვის რესპუბლიკაში 9 გახანგრძლივებული დღის სკოლაა (შესაბამისად 1978 წ. — 3) 5479 მოსწავლით. მათ შორის ქ. თბილისში 6 — 4690 მოსწავლით, ზუგდიდის რაიონში — 2 — 587 მოსწავლით, ქობულეთის რაიონში 1 — 202 მოსწავლით. 3613 (3376 — 1978 წ.) გახანგრძლივებული დღის ჯგუფია გახსნილი 1316 სკოლაში (1259 — 1978 წ.), რომლებშიც ირიცხება 102700 მოსწავლე (97397 — 1978 წ.), რაც შეადგენს I — VIII კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 13,9%. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია 108,3%.

რამდენადმე გაუმჯობესდა მოსწავლეთა კვების მდგომარეობა! 1979 წელს რესპუბლიკაში გეგმით უნდა გახსნილიყო 150 სასაღილო 22715 დასაჯდომი ადგილით, ფაქტიურად 9 თვის მიხედვით გახსნილია 114 სასაღილო 15289 დასაჯდომი ადგილით. 9 თვის გეგმა შესრულებულია 67,3%-ით. ამისთან, დაგეგმილი 10 სასკოლო-საბაზო სასაღილოს ნაცვლად ორგანიზებულია — 16. რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში ადგილზე მზადდება კერძები, გახსნილია საკონდიტრო საამჭროები. სასკოლო სასაღილოების დათვალიერებაში გამარჯვებისათვის ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის სასაღილო 2-ჯერ დაჯილდოვდა დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მიუხედავად რიგი წარმტებებისა, აღნიშნება სერიოზულზეც შეადგინებები:

საყოველთაო სავალდებულო სწავლების საინსპექტორო მუშაობის მიზანსწრაფულობა და ეფუძნებიანობა ბევრადაა დამოკიდებული სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დაგეგმვის სკოთხებზე. შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებათა გეგმებში ხშირად მოცემულია ზოგადი ფორმულირებები, იშვიათად არის მინიშნებული შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ამიტომ, შეუძლებელი ხდება გეგმების დროული შესრულების შემოწმება. შესრულების მდგომარეობა ადგილებზეც არ ჯამდება. განათლების განყოფილებათა გამგეები პირადი ინსტრუქტაჟის, სემინარებისა და სხვა სახის ლონისძიებებით არ უზრუნველყოფენ გეგმიური საკითხების თითოეულ შემსრულებლად დაყვანას. წალენჯიხის, ონის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები დღემდე არ იცნობენ ინსტრუქციის სკოლის ასაკის ბაზეთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, მე-8 და მე-10 კლასის დროულად დამთავრების გამოანგარიშების წესს. ამიტომ, ადგილებზე საინსპექტორო დოკუმენტები და ბრძანებები არაფრისმთქმელი, არაკონკრეტული და დექლარატიული ხასიათისაა, არ არის მოცემული ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი და მინიშნებული გამოვლენილ ნაკლოვანებებში დამნაშავე პირები. ამდენად, განათლების განყოფილებათა მიერ საყოველთაო სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი არავალიფიციურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

გარდა ამისა, ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგის უპასუხისმგებლობით ბევრ ქალაქსა და რაიონში აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. ასე, მაგალითად, წალენჯიხის რაიონში საყოველთაო სწავლების საკითხს განათლების საბჭოზე იხილავენ სასაწავლო წლის დასაწყისში. სკოლებს ეგზვენებათ კითხვარი, რომლის მიხედვით განყოფილება ღებულობს ინფორმაციას განსახილველ საკითხზე. საკითხის განხილვა ხდება მიღებული მასალების შემოწმების გარეშე, ე.ი. არ ხორციელდება სკოლებიდან წარმოდგენილი აღწერის მასალების შედარება ფაქტიურად სკოლებში ჩარიცხულ კონტინგენტთან. შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლებში, ხშირად, დაუდევრად ივსება სტატისტიკური ფორმები

ზს-1 და ზს-3. ასე, მაგალითად, კასპის 1-ლ საშუალო სკოლის ნაჩვენები აქვს, რომ 5 მოსწავლე გადავიდა ისეთ პროფესიულ საშუალებლებში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას, სინამდვიუმეში კი ხუთივე სწავლობს პროფსასწავლებლებში, რომელიც იძლევა საშუალო განათლებას. იგივე სკოლის IX კლასის მოსწავლე ავადმყოფობის გამო (ტუბერკულოზი) ამოღებულია სიიდან, რაც სტატისტიკურ ფორმაში არ არის ნაჩვენები. წალენჯიხის რაიონში ბინაზე მეცადინეობა უტარდება 4 მოსწავლეს, მაგრამ ამის თაობაზე განათლების განყოფილებაში ბრძანება არ არის გაფორმებული. ჩხოროწყუს რაიონში ავადმყოფი მოსწავლეები, რომლებსაც მეცადინეობა ბინაზე უტარდებათ, არ არიან შეტანილი არც საკლასო უურნალში და არც სტატისტიკურ ფორმებში, რის გამოც განთესვაში ითვლებან.

სტატისტიკური მონაცემებით განთესილია 49 მოსწავლე (აჭარის ასსრ — 14, აფხაზეთის ასსრ — 10, ქ. ქ. წყალტუბო — 7, თბილისი — 6 და სხვ.). ფაქტიურად განთესილ მოსწავლეთა როდენობა უფრო დიდია. მაგალითად ქ. გორში სკოლას ჩამოშორდა 7 მოსწავლე, ონის რაიონში (უწერისა და ონის 1-ლი სკოლა) — 2, თეთრწყაროში — 7, წითელწყაროში — 7, რაც სტატისტიკურ ანგარიშებში არ არის ნაჩვენები.

ანალიგიური მდგომარეობა თითქმის ყველა შემოწმებულ რაიონში. სწორად არ არის გაშიფრული სად და რა მიზეზით გავიდა სკოლიდან ბავშვი, ფორმებშე არ არის სათანადო ხელმძღვანელი პირის ხელის მოწერა და სხვ. ყველაფერი იმის შედეგია, რომ ზოგჯერ ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე მინდობილი აქვთ საქმის მწარმებლებს, რომლებიც უპასუხისმგებლობის ან უცოდინარობის მიზეზით უშეგებენ უზუსტობებს, ხოლო სკოლის დირექტორები და განათლების განყოფილებათა გამგეები არ ამოწმებენ მიწოდებულ ინიციორების და არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეყვავთ ხელმძღვანელი ორგანოები, რითაც აფერხებენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების საერთო რესპუბლიკური მაჩვენებლის ზრდას.

განათლების სამინისტროს მიერ შესამოწმებლად შერჩეულ იქნას რაიონები, რომლებშიც დაბალი იყო 8 კლასის დროული დამთავრების მაჩვენებელი. დადგინდა, რომ სკოლების უმრავლესობამ დრო-

ულ დამთავრებაში უჩვენა მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც I კლასში ჩაირიცხნენ მათდამი რწმუნებულ სკოლაში, ხოლო მოძარობაში მყოფი და დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლებიდან მოსული მოსწავლეები მათი ყურადღების მიღმა დარჩა. სკოლების სამართველოს ჩარევის შედეგად 8 კლასის დროული დამთავრების მაჩვენებელი გაიზარდა. ქ. გორში 76%-დან — 97,7%-მდე, ჭიათურაში — 88,3%-დან — 93,1%-მდე, ზესტაურნის ჩაიონში 84%-დან — 98%-მდე, კასპის რაიონში 82,3%-დან — 95,6%-მდე, ხაშურის რაიონში 87%-დან — 93,9%-მდე, წალენჯიხის რაიონში — 87%-დან — 91,4%-მდე, ჩხოროწყუს რაიონში კი პირიქით შემცირდა 94,4%-დან — 91,1%-მდე.

ამ მხრივ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს ჩამორჩებიან; აგრეთვე, აფხაზეთის ასსრ-85, 9%, აჭარის ასსრ — 92,4%, სამხრეთისეთის ა.ო. — 89,6%, ქ. ფოთი — 91,4%, ონის — 81,3%, ყაზბეგის — 83,3%, სიღნალის — 85,7%, თეთრიწყაროს — 88,6%, ლენტების — 90,2%, ლანჩხუთის, ცხაკაის, თელავის — 90,5%, ახალციხის — 90,6%, სამტრედიის — 91,1%, წალენჯიხის — 91,4%, ცაგერის — 92,1%, წითელწყაროს — 92,6% და სხვ რაიონები.

ზოგი შემოწმებული რაიონების მთელ რიგ სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას. ხშირ შემთხვევაში აღვილზე არ არის დასტურები, მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, ალფაბეტური, ბრძანების წიგნები და და სხვ. არ ქონდა დასტურები გასულ მოსწავლეებზე კასპის რაიონის აღაიანის, თეთრიწყაროს რუსული, მანგლისის რუსული, დიდი თონეთის, ხაშურის რაიონის, წალენჯიხის რაიონის ჯვრის 1-ლ სკოლებს და სხვ. ხაშურის რაიონის სკოლებს არ გაჩნდათ ცნობები 27 რვაკლსადამთავრებულზე (ქვიშეხთის საშუალო სკოლა — 17, გაყის — 2, ტეზრის — 1, ბექმის რვაწლიანი — 4, ბრილის — 3). ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება წალენჯიხის რაიონში. წითელწყაროს რუსულ სკოლაში მოწესრიგებული არ არის ალფაბეტური წიგნის წარმოება, რის გამოც ძნელდება მოსწავლეთა მოძრაობის დაღვენა, რაიონში 5 რვაკლსადამთავრებული (სკოლა-ინტერნატი — 2, საბათლოს რვაწლიანი — 2, ზემოქედის — 2) I მეოთხე-

დის ბოლოსათვის ჭერ კიდევ არ იყო ჩაბმული სწავლებაში. ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის სკოლაში არ იყო შევსებული მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთა პირადი საქმეები, ხოლო გროვის საშუალო სკოლაში 4 მოსწავლე ჩარიცხული იყო დაბადების მოწმობის გარეშე.

სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას ხელს უშლის აგრეთვე მეორეწლიანობა. 1978—1979 სასწავლო წლის ბოლოსათვის მეორეწლიანთა რაოდენობა შეადგენს 7462 მოსწავლეს; ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0,8% (შესაბამისად 1978 წ. 8947, ანუ 1%). მათ შორის I—III კლასებში — 808 (0,3%), IV—X კლასებში 2220 (1,6%). საშუალო რესპუბლიკურზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ აჭარის ასსრ — 1,6%, აფხაზეთის ასსრ — 1,2%, სამხრეთის ა. ო. — 0,9%, ქ. გორის — 1,2%, მესტიის რაიონის — 2%, ლენტეხის — 1,8%, ყაზბეგის, ონის, თეთრიწყაროს — 1,7%; ბორჯომის — 1,6%, თიანეთის — 1,5%, აღიგენის, გარდაბნის, საჩხერის — 1,4%, ასპინძის, მარნეულის — 1,3%, ბოლნისის, ვანის, დუშეთის, მცხეთის, — 1,2%, ლანჩხუთის, თერჯოლის, წალენჯიხის, ჩოხატაურის — 1,1%, წალკის — 1,0%, ბოგდანოვკის, ზუგდიდის, ხაშურის, ცხაკაიას რაიონებს — 0,9% და სხვ. ალსანიშვნავია, რომ ქ. გორში მეორეწლიანთა რაოდენობა გაიზარდა 45-დან—89-მდე.

შემოწმებით დადგინდა, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები და რიგი სკოლის ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობას. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში 107 მეორეწლიანია, ქ. ჭიათურაში—228, თეთრიწყაროს რაიონში—84, ხაშურის რაიონში 61 და ა.შ. , რომელთა დასახმარებლად არაფერი კეთდება; ეს საკითხი არც პედსაბჭოზე განუხილავთ და არც განათლების საბჭოს სხდომაზე, მაშინ, როდესაც მეორეწლიან მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი დაწყებით კლასებზე მოდის. 1

კვლავ დიდია რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობა! სტატისტიკური მონაცემებით საანგარიშო პერიოდში სკოლიდან გავიდა სულ 11,3 ათასი მოსწავლე, ანუ 1,3%. მათგან გადავიდა პროფესიალურებებსა და სალამოს (ცვლის), დაუსწრებელ სკოლებში 6315 მოსწავლე, საშუალო სკეციალურ სასწავლებლებში — 1497,



ეროვნული  
ბიბლიოთეკი

სხვადასხვა მიზეზით გავიდა 1490 (შესაბამისად 1978 წ. — 417330) მათ შორის პროფსასწავლებლებში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას 301 (IV—VIII კლ. — 24, IX—X კლ. — 277). აფხეზეთის ასტრ — 59, აჭარის ასტრ — 4, სამხრეთ ოსეთის ა.ო. — 27, ქ. ქ. თბილისში — 79, რუსთავში — 15, ჭიათურაში — 13, ლენტებში — 9 და სხვ.

ხანგრძლივი ავაღმყოფობის გარი სკოლიდან გავიდა 669 მოსწავლე (აჭარის ასტრ — 90, აფხაზეთის ასტრ — 82, სამხრეთ ოსეთის ა.ო. 20, ქ. ქ. თბილისი — 100, ქუთაისი — 15, რუსთავი — 14, წყაროტები — 10, წლების რაიონი — 38, ახალქალაქის — 25, ზუგდადის — 24, მახარაძის — 22, ჩხოროწყუს — 19, დუშეთის — 15, ჯამანისის — 13, ბორჯომის — 12, მარნეულის — 12, ქარელის — 11, გეგეგვირის — 10, მცხეთის — 10, ბოლნისის — 8, საჩხერის — 8, ლენტების — 7, ლაგოდების — 6, ლანჩხუთის — 6, ხაშურის — 6, ჩოხატურის — 6, ორჯონივიძის — 5.).

შემოწმებამ ცხადყო, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ავაღმყოფ ბავშვთა ბინაზე მეცადინეობას.

მოუწესრიგებელია გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმის საკითხი.

გონებრივი ნაკლის გამო სკოლიდან გავიდა 5 (სამტრედიის რაიონი — 4, ახალციხის — 1). ფაქტიურად ქ. გორში გონებრივი ნაკლის გამო სკოლას ჩამოშორდა 2 მოსწავლე, სწავლის გარეშეა დარჩენილი გონებრივი ნაკლის მქონე 9 მოსწავლე; ქ. ჭიათურაში 26 ბავშვიდან ჩაბმულია მხოლოდ 9, ზესტაფონის რაიონში 52-დან — 9, სწავლის გარეშეა დარჩენილი 4 ყრუ-მუნჯი (ქ. ჭიათურა). ონის რაიონში გონებრივი ნაკლის მქონე 6 ბავშვიდან სწავლობს მხოლოდ 2, წალენჯიხის რაიონში აღრიცხულია 18 ბავშვი, ხოლო სამედიცინო-პედაგოგიურ კომისიაზე გატარდა მხოლოდ 4, მათგან სწავლებაში ჩაბმული იყო 2 და ისინიც ჩამოშორდნენ სკოლას. დანარჩენ 14 ბავშვს თვით სკოლამ დაუსვა დიაგნოზი. ხაშურის, წითელწყაროს, კასპის, ცემორიშვილოს რაიონებს არ აქვთ გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა.

საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს 34 მოსწავლე, რაც გასულ

წელთან შედარებით ორჯერ მეტია. IV—VIII კლასებიდან გაიწვიეს 6, IX—X კლასებიდან — 28.

აღრეულ ასაკში ქორწინების გამო სკოლიდან გავიდა 75 მოსწავლე. აჭარის ასსრ — 24, სამხრეთ ოსეთის ა. ო. — 5, ქ. ქ. ჭიათურა — 3, გორი — 3, სიღნაღის რაიონი — 7, თელავის — 7, ზუგდიდის — 4, ხაშურის — 3, ხობის — 3, ასპინძის — 2 და სხვ. !

• სტატისტიკური მონაცენებით ულირსი საქციელისათვის სკოლიდან გაირიცხა 96 მოსწავლე, (აფხაზეთის ასსრ — 26, აჭარის ასსრ — 16, ქ. ქ. თბილისი — 8, რუსთავი — 4, ქუთაისი, — 2, ფოთი — 2, ცაგერის რაიონი — 11, მახარაძის — 9, მცხეთის — 9, ბორჯომის — 2, ვანის — 2, ღმანისის — 2 და სხვ.), რაც ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებთან აღნიშნული რაიონების სკოლების პედაგოგიური კოლექტიდან არასაკმარისი ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. განათლების სამინისტროს დღემდე არა აქვს მონაცემები იმის შესახებ, არიან თუ არა გარიცხული მოსწავლეები მოთავსებული სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებებში. !

